შვეიცარიელ გლეხს თავის ცხოვრება სასწო- რივით აქვს აწყობილი. მას წინდწინ გამო- აწვარიშებული აქვს მთელის წლის შემოსი- ვალ-გასავალი. თანახმად ამისა ცხოვრების ყოველი- ემ წელითი, სისტემატური წეს-რიგით მოკულია. შემთხვევებს, ნატომებს აქ ადგილი არა აქვს. გლე- ხმა იცის წლის განმავლობაში რამდენ გირვანქა პურს შეჭამს, რამდენ კართოვლის, ხორცს, ჩიქს და სხ. ეს იმას კარგად აქვს გამოკვლევულ-გამოანგარი- შებული. ხელში უჭირავს შემოსავლის ჯამი და შე- მდებ ამის და გვარად ზომავს ოჯახის მოთხოვნილე- ბას. ამისათვის არ შეიძლება ერთ დღეს იმდენი და- ხარჯოს რამდენიც ორა დღისათვის აქვს გადადებუ- ლი, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე დღეს ნახე- რად მშვიტი უნდა დარჩეს. მეგლიშები, მიპატრე- მოპატივება, რასაკვირველია, იშვიათია. ყველა თა- ვისთვის ცხოვრობს, თავს ოჯახში შექცევა ლუ- ცმა-პურს. ჩვენებურ მეზობლურ დამოკიდებულებას აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადღიობის დროს რომ აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადღიობის დროს რომ აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადღიობის დროს რომ აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადღიობის დროს რომ აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადღიობის დროს რომ აქ ვერც კი წარმოიდგენენ.

იშვიათად დარჩება. არა ჩვეულებრივის ხარჯის გა- წვეა იციან მხოლოდ ქორწილზე და ნათელაზე. ამ დროს წვეულთა რიცხვი 10—15 არ ასცილდება. თითქმის ყველა ნათესავ-მოუყვარეა. ხშირად მიწახას ამგვარი წვეულება და არც ერთზე კარის მეზობელი არ იყო მიპატივებული. ეს შედ-მეტე ხარჯი მძიმე ულად აწვის ოჯახს. აქ ფულის შონა შემთხვევით, ან რაიმე ხერხით შეუძლებელია. უთუოდ თავის შრომით უნდა შეიძინოთ, სხვა სახსარი არა-არის- რა. ამისათვის არა ჩვეულებრივი წვეულების გასამარ- თაოდ გლეხი დიდი ხნით ემზადება: ან შრომას და ჯაფას არკეცებს, ან ჩვეულებრივ გასავალს ცოტ- ცოტას აკლმს. როკა დანიხას რომ საკმაო ჯამი შევდავა, მაშინ მოიხმობს დანიშნულებისამებრ, ელის აღება გლეხს არ უყვარს, ყოველივე ღონისძიებას ხმარობს ამას გზა აუქციოს, რადგანაც კარგად იცის, რომ გადახდა გაუძენდებდა (თუმცა ფულის სარგე- ბელი 4—5% არ აღემატება). თუ მეზობელს მეზო- ბელი გაუმსპინძლდა სამკვირთო უნდა იქნას გადა- ხდილი. თავის შრომით ცხოვრება ისე აქეთ ძვალ- რბილში გამჯდარი, რომ ვერც კი წარმოიდგენენ თუ რატომ შეუძლდა აკამონა ერთმანეთს. თეთიოული თა- ვისთვის შრომობს და თავისთვის ცხოვრობს.

შვეიცარიაში, საზოგადოდ, დღემდე სამჯერ იცე- ბებიან: დიდას საუზმე, შუაღმდეგ სადილი და საღა- მოს, 7 საათზე ეანშამი. ამ წესს მტკიცედ ასრულებს

როგორც ქალაქი, ისე სოფელი. გლეხის სამხარეულოის წარმოადგენს ერთი მოზრდილი ოთახი, აუტორით მოყვნილი, იმავე სართულზე სადღე თვითონ სტოვრობს. სამხარეულოში დგას საქმლის საკეთებელი გრძელი აკურის ბუხარი, ანუ როგორც ჩვენში უწოდებენ „პოლიტა“ ქვაბები სპილენძის და თუჯისა და შენახულია განსაკუთრებით უჯრებში, ასე რომ ნასადღევს სამხარეულოში ვერავითარ ქურჭლებს ვერ ჰხედავთ. შუაზე არის სტოლი სკამებით შემოწყობილი, სტოლის უჯრებში დანა-ჩანგლები აწყვიტა. საზოგადოდ სამხარეულოში ყურადღებას იქცევს მეტის-მეტე სისუფთავე, ასე გვგონია სასტუმრო ოთახი. ვერსად ქუჭყარა რასებს ვერ დინახავ, ყველაფერი მიწმენილი-მილაგებულა. აქვე არის წყალი, მილით გამოყვანილი (ახლა ყოველ ოჯახში), ამასთანავე მოწყობილია წყლის გადასადრევი ალაგი. ფანჯარასთან ქვის დაზგა მიკრული, ცოტა ამოღრმავებულია, დაზვიდან წაყვანილია მილი მიწაში და ერთის საზოგადო სასოფლო მიღს. ქუჩაში აკრძალულია წყლის გადაღვა და ნაგვის გატანა. ნაგვის აგროებენ და შემდეგ სოფელს გარეთ გააქვთ, თუ ნაგავში საქმლის ნარჩენები ურევია ბოსტანში ან ენახში—ყრან. სადილის დროს რომ შეხვიდეთ სამხარეულოში, აი, რას დაინახავთ: სტოლი გადაფარებულია თეთრი ტილოთი, ვარშემო შემომსხდარია ოჯახის ყველა წევრი და თითოეულს უდევს წინ დანა-ჩანგალი, კოვზი, ჭიქა, სანი და ხელსახოცი. პატარა ბავშვები წამოსკუპულია ძაღლ, მათთვის საგანგებოთ გაკეთებულ სკამებზე. ყოველნიერი საქმელია გარდა ხორცისა: კართოფლი, რასაც ისე სხვა-და-სხვა გვარად ამზადებენ, რომ გამოცნობაც გაუჭირდებოთ, ღობიო, ფხალეულობის სუფი, რძით შეზავებული ვერძისმედი, ღვინო, პური და სხ. ხორცი მხოლოდ კვირაობით სჭამენ. ქათამი თითქმის სრულებით არ არის ხმარებაში. ამის მიზეზი, რასაკვირველია, სძიქირვა (მაგ. ერთი ქათამი 2 1/2 ფრ. ანუ ერთი მანეთი ღირს). ყველა ოჯახი ვერ გაიჩნეს შინაურ ფრინველებს, შენახვა ბევრ ხარჯს მოითხოვს. როგორც ქვევით დავიანახებთ ოჯახთა შორის ისე განაწილებული შრომა, რომ თითოეული ერთ რასზე საქმეს აკეთებს და ამით ირიცხის თავს. გირვანქა ხორცი სამ აბაზოთ იყიდება. შაბათობით იკვლება საკლავი და კვირისათვის გლეხებს მიაქვთ თითო ვირვანქა ან ცოტა მეტი. ღვინოს დაბალ-ხარისხისას წყალ-ნარევის ხმარობენ. პურს სახლში არ აცხობენ, ღუქანში ყიდულობენ. ჩაის სრულებით არ სმენ, სამაგიეროთ ყავა-რძით დიდ ხმარებაშია. საზოგადოდ ვერაპაში ჩაის იშვიათად ნახავთ, სამოვარის ხომ სრულებით ვერსად. არსად იმდენი რძე არ იხარჯვის რამდენიც შევიკარიაში.

რძე აქ ძლიერ იაფია (ვერსულის ფოთლი 20 სანტიმი), გლეხის ოჯახი საშუალო რიცხვით დღეში ორ ბოთლ რძეს ხარჯავს, ყველს ნაკლებად სჭამენ, მარტო ყველით არასდროს არ დაკმაყოფილებიან სადილზე. ამასთანავე ძლიერ ეტანებიან ერბოს, როგორც საქმლის შემზადებისათვის, ისე პურთან შესატანებლად (მეტადრე ყავასთან). კვერცხი იშვიათია, თორმეტი ორი აბაზი ღირს. ხილეულობა აქ ერთობ ბევრია. ამისათვის ნიორ-ნიორ მურაბებს და სხვა ტუბილ საქმელებს ხშირად შეხედებით გლეხის ოჯახში. ხანდახან ღვინის მივიერ ლუღს და არავს სმენ.

აქ ჩამოთვლილი სამეღ-საქმელიდან შეიძლება ერთი მესამედი ოჯახის მიერ იყოს მომუშავებული. დანარჩენი ორი წილი უთუოდ ნაყიდა. ამას მიუმატებ კიდევ სხვა მრავალგვარი მოთხოვნილება და ნათლად წარმოადგებათ რამოდენა ფული უნდა ტრიალებდეს გლეხობაში. უფულოთ ერთ დღესაც ვერ დალაშვს გლეხი, ყოველთვის და ყოველგან ფული უნდა ხარჯოს, უამისოდ ერთ სადილსაც ვერ შესჭამს. საიდან უნდა აიღოს ამდენი ფული? ცხადია თავის შრომიდან ე. ი. მისი ნამუშევარი ბაზარზე უნდა იქნას გამოტანილი და გაყიდული. ამისთვის, ის აკეთებს იმისთანა საქონელს, რაც სხვისთვის არის საჭირო, რისთვისაც ფასს გამოიღებენ. ამ გვარად, გლეხის მიზანია ფულის შექმნა, ე. ი. მისს პირდაპირ მოთხოვნილებას ფული შეადგენს; ამ მიზნის მისაღწევად ის აწარმოებს იმისთანა რამეს, რაც სხვის პირდაპირ მოთხოვნილებას შეადგენს და არა მისას. თავის ნამუშევარიდან ის ტოვებს ოჯახის საჭიროებისათვის ძლიერ ცოტას, ან სულ არაფერს, დანარჩენს ჰყიდის. რადგანაც ყველა გასასყიდ საქონელს ამზადებს, ამკარაა ვინმე უნდა ყიდულობდეს. ვინ არის მივდიელი? პირველად თვითვე მაწარმოებელნი, მეორედ ქალაქში მცხოვრებნი. ამ ნიორად გლეხის ნაწარმოებს ბაზარი აქვს სოფელში და ქალაქში. რა ნიორად არის ეს მოწყობილი? აი აბაზედ მოვილაპარაკებთ.


გლეხის უმთავრესს სახარუნავს ბოსტნის მოშენება შეადგენს. ხშირია იმისთანა ოჯახი, რომელიც ნახევარი ქვეყანაში იმით გვარაიანდ ირიცხს თავს. ამ სიღრმეზე ის ბოსტანს აკეთებს და ეს საქმე ისე მიყვას, რომ მთელის წლის განმავლობაში მიწა ცალკეირი არ რჩება, თანახმად ჰაის ცელილებსა იცვლება თვით მოსავალიც. რაც ზაფხულობით მოდის ზამთარში არ ხეირობს. ამისთვის იმავე ალაგს სხვას რასმე თესს და ასე წლის გასვლამდე, ერთ და იმავე ნაქერ მიწაზე სამი-ოთხი მოსავალი მოდის. საბოსტნო ადგილი უმთავრეს შემოხვევაში, სოფელში, ან საფლის განაპირას, აქ თქვენ ყურად-

ლგას მიიქცევა სიერის ეიწროობა, ნახევარ ქეცვას არც ერთი არ წასცილდება. ეს პატარა სიერე და-
 კრილია რამდენიმე ნაჭრებად, ნაჭრებს შორის ნია-
 ლერისთვის კვალია გაყვანილი, უამისოთ ცოტა
 წიმაკ საკმარისია, რომ ყველაფერი ჩარეცხოს, (ნუ
 დაიწყებთ წინეთ ნათქვამს: სოფელი მთა-გორანზეა
 გწლილი). თითოეულ ნაჭერს სხვა-და-სხვა ნაირად
 აწაღებენ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად რა
 უნდა დაითესოს. განსაკუთრებით ყურადღება მი-
 ქცეულია მიწის გასუქებაზე. მიწას ისე გამოკლილი
 აქვს ნოყიერება, რომ უსასუქოთ აღარაფერს იძლე-
 ვა. გაზაფხულზე რომ ბოსტანში ჩახვიდეთ მიწიდან
 ფეხებს ველარ ამოიღებთ, იმდენი ნაკელი ყრია. ბა-
 რის შემწეობით მიწა და სასუქი ერთმანეთშია არე-
 ული. საბოსტნო ბარი ჩვენებურს არ ჰგავს. რკინის
 ორ-თითი წამოგებულია ხის ტარზე და თოხებით
 სქემენ მიწას. აქაური რბილი ნიადგის დასაბარა-
 ვით ეს საქმარისია. როცა მიწა და სასუქი კარგად
 შეზავდება ცოტას დააცდიან, რომ მოშრეს და შემ-
 დგ დაიწყებენ თესვას. ყველაზე უფრო ფართო ნა-
 ქერი მიწის კართოვილისათვის არის გადაღებული,
 შემდეგ მოდის ლობიო, ფხალეულობა, კიტრი და
 მწვანოლეულობა: სტაფილო, ნახეი, წიწმატა, ბოლო-
 კ და სხ. ამათი მოვლა და ხელის შეწყობა დაუ-
 სრულბებელი შრომაა. დედა-კაცი ჩაეა თავის ბაღა-
 ში, გაშლის გრძელ-ტარაიანს და ფართო ქოლგას
 მზეში ან წვიმაში). შეძერება ქვეშ და მთელ დღეს

ფეხს არ იცვლის. კაცს უკვირს ამდენხანს ამ ერთ
 ალაგას რას აკეთებდა. მიღიხაროთ და უტკეპით:
 ყოველ მცენარის ძირს ხელს ახებს, გასწორ-მის-
 წორებს, ცუდ აუადმყოფ ფურცელს ართმევს, ბალახ-
 ბულახს გლეჯს და სხ. ისეთ წერილობან რამეზე
 შრომობს, რომ შემწენვეაც ძნელია. მუღმივი ცდის
 და გარჯის შედეგი არის, რომ ძალიან ბევრი ნაყო-
 ფი მოდის. ერთ ბეწო აღგილზე რამოდენსამე გო-
 დარს კიტრს დაკრეფენ, მწვანოლეულობას მუღამ
 ეჭიდებიან და მუღამ გამოუღეველია, ამას ბოლო
 აღარ აქვს. მოკრეფაც ერთ ხელობას შეადგენს. ეინც
 ბეწოს დაკრეფს და ბოსტანს არ დააჩნდება—ი ის
 არის ოსტატი. ამაში ისე არიან განეთარებულნი,
 რომ შორიდანვე ცნობალობენ რომელი ძირი უნდა
 მოიგლიჯოს და რომელი არა. აქა-იქ ბოსტანში შე-
 ხედებით შუშა-ბანდს და შიგ სხვა-და-სხვა ნაირი
 მცენარებია. განსაკუთრებით შუშაბანდში მოყუთ
 ის, რაც ბუნებრივ სითბო-სიცხეში არ მოდის, მა-
 გალითად ზამთარში კიტრი და ყვავილები, რომელიც
 ზაფხულში მეტი სიცხე-მტერისაგან ფუჭდება. ამას გა-
 რდა შეიძლება ბოსტანში იყოს ცოტა ხილეულობა
 მსხალი, ვაშლი და ან ერთი-ორი ვაზი. ხშირად
 მინახავს ყურძნის მტევენი რკინის ბაღში გახვეული,
 სეტყვა ვერას დააკლებს.

საზღვარ გარეოელი


(შემდეგი იქნება)




სპილოებზე ნაწირობა აზრიკაში

მათი მოგზაური მოგებითხრობს, აფრიკის ზა-
 ნებები როგორ მეტად უცნაურად ნადირობენ
 სპილოებზე: ჯერ დაზვერავენ ადგილებს საცა-
 მ უშველებელი სქელ-ტყავა პირუტყვის ხროვა ბუ-
 ნაობს. მერე ზანებში მაშხალებით შემოვრტყმიან
 ადგილს, ერთმანეთს ანიშნებენ და ყოველ მხრი-
 დან ერთბაშად ცეცხლს წაუკიდებენ მაღალ ბალახს.
 სპილოები ცეცხლში მოამწყვდევიან, შეშინებულნი

ცალკე ცეცხლით და ცალკე მონადირეების კიყინით
 მონადირებენ თავის დახწევას, ცეცხლიდან გამოსე-
 ლას, მაგრამ მონადირეების ისრები და შუბები გზას
 არ აძლევენ. მაშინ გაშმაგებული ნადირი უკან-უკან
 იწევს, ერთმანეთს ეკრება, ცეცხლი კი ძლიერდება
 და თან მისდევს. ამდროს დიდ ძალი სპილოები
 იხოცებიან, მაგრამ არც მონადირეები არიან ხეირში
 ზოგს მათგანს გააფთრებული პირუტყვი ფენ ქვეშ
 თელავს და ზოგს ხორთუმით მაღლა ისერის რა-
 გორც სურათზე არის ნაჩვენები.





სამკვლელები ნაპირისაკენ მიემართებიან

ტ ა ს ო

(მ ო თ ნ რ ო ბ ა).

IX.



აველა რამოდენიმე დღე ზემოდ მოყვანილ საუბარის შემდეგ და ერთ დღიას მთელს ხობს მოედდა ამავეი, წიქრის ვამებ უშქულორისა ქალი ტასო მოუტაცნიათო. შეიქნა ერთი აურ-ზაური. მოიქრა ვამებც, რომელიც სხვაგან ყოფილიყო იმ ღამეს და მთელი პოლიცია ფეხზე დაყენა. ვამებს ყველაფერზე უფრო ის აკვირებდა, თუ ვის უნდა გაუბედნა ძალით მისი ქალის მოტაცება? რომ ტასოს ნება აქ არ იყო, ეს ცხადი იყო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ვისაც უნდა გაპყროდა, მამა არ დაუშლიდა...

იმ დროს, როცა ხობში ერთი ალიაქითი და ეიო-შევილებელი იყო, მაქას ერთ-ერთ სახლში შევიხტის ქეშაგებში იწვა ტასო და წუხანდელს ბრძოლას შემდეგ საშინლად დაღლილ-დაქანცულს ტკბილად იძინა. დიად, ბრძოლას შემდეგ, რადგან მანამ არ დაწებებია იგი მაქას შევილებს, სანამ მეტის აღვლებით და დაღულოლობით გული არ შეუღონდა... დილას, როცა ტასო თვლი ვამოახილა და მოაველო ოთახს, ჯერ სიზმარში გვიანა თვეი და იმე დაძინება უნდოდა, მაგრამ მეგრე მოაგონდა, რად წინა ღამეს თავს გადახდა და გული ბოლით ავისო.

„აჯერ სადა ხარ? უთხრა გულმა ტასოს: ახლამე შემოვა მხეცად გადაქცეული კაცი და წაგართმევს ყველაფერს, რაც-კი რამ წმინდა გავჩინა!“... ამას ჰფიქრობდა ტასო, როცა კარს მოადგა ვიღაცა და ნელა დაუწყო ღება. ტასო გაბრაზებული წამოაჯდა და მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირება, როცა გამხეტებულის კაცს მაგიერად ოთახში შემოვიდა მიმზიდელი, სიკეთით სასვე სახის მკაც.

— რად წამოაჯდარხარ, შევილა? დაწვეი, მოსწვეულად იყავი! უთხრა მაქამ და მიუახლოვედა, — მოსწვევებულად ვიყვე? სად? ვის სახლში?.. მითხარით, რას მიპირობებ?.. დაიწყო ტასომ და თვალები ცრემლით ავისო.

— ნუ გემინია, შევილა; ღმერთი მომიცია თავმჯდომად, რომ ამ საათიდან შენი უნებური არა დაგმართებდა-რა, უთხრა ტკბილად მაქამ.

— გამაგებინე, სადა ვარ? რა გინდათ ძიყოთ? ვუთხრობდა გულ-ამომჯდარი ტასო.

— ახლავე შევილა, უთხრა მაქამ და დაუჯდა-

რა თვით, უამბო ყველაფერი, როგორც იყო.

— ახლა შენ იცი, შევილა. თუ არ მოიკიდებ ჩენს ხუთი ადამიანის ცოდვას და ჯვარს დაიწერ კოსტაზე, ხომ კარგი, და თუ არა, მადლობა ღმერთს ჰქონდეს... სჩანს, ჩენი წერა ეს ყოფილა... დაბაოლოვა მაქამ ტირილით თავისი სიტყვა.

ტასო ჩაფიქრდა. მას ერთ-წამს დაეხატა თვალწინ მთელი თავისი წარსული და თვითონაც ცრემლები მოერია. „ღმერთო ჩემო, რა ექნა?“. ჰფიქრობდა ტასო: „რად დავიბადე ასე უბედური, რომ ყოველთვის სხვისი ტანჯვის მიხეზად გადავიტყვი ხოლმე?.. არა, არა; სხვის ცოდვას კიდევ ვერ გავაკიდებ... დღე, მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაში ვეცატარო, ოღონდ სხვები ნუ დაიტანჯებიან ჩემის მიხეზით!“.. გაიფიქრა ტასომ და წამოდგა ზეზე.

— სად არის კოსტა? წაივადეთ, ენახოთ! — უთხრა მაქას.

— მოიცა შევილა, განარებულმა წამოიძახა მაქამ: — წაველ, ჯერ მავამზადებ, თორემ უცებ რომ გენახავს, მეტის-მეტის სიხარულით ვინ იცის, რა მოუყა?

— კარგი წადი... თუ გინდა სულ ასე უთხარი, რომ მე ჩემით მოვედი და მზად ვარ, როცა უნდა ჯვარი დავიწერო! — უთხრა ტასომ.

— შენ გენაცვალე, ჩემო გამხარებგელო! დაიძახა ამის გაგონებამ მაქამ და ტირილით გადაეხვია ტასოს, რომელიც თვითონაც სტიროდა.

X.

გავიდა ზემოდ აწერილ ამბების შემდეგ რამოდენიმე წელიწადი. ხობის ბოლოს იდგა ძველებური ოდის მაგიერ შეენიერი ორ-სართულიანი ქვიტიკის სახლი, რომელსაც ჰქონდა ავრეთვე გრძელი ერთიანი აივანი.

ერთ საღამოს აივანზე მდგარ ტახტზე წამოწოლილიყო მოხუცებული ვამებ უშქულორია და; ფიქრებში გართული, ჩიბუხს აბოლებდა. უეცრად მოისმა სახლიდან ბავშვის ტირილი. მოხუცი მაშინვე წამოავარდა, ძლიერ მხოლოდ ცალი ფეხი გამოყარა ფოსტალში და გაიქცა ძახილით: „ტასო, ტასო!.. სადა ხარ, ქალო, ბავშმა გამოიღვიძა და ტირის!“.. მოისმა სახლში ჩქარი ფეხის ხმა და ბავში გაჩუმდა.

პატარა ხანს უკან აივანზე გამოვიდა ტასო პატარა მხიარულის ბავშვით ხელში. „ბაბუ!“ დაიძახა ბავშმა ვამების დანახაზე და გაუღიმა.

— შენ გენაცვალე ბაბუა შენი! მოხვალ ჩემთან?.. სიტყვა ვამებმა და მივიდა ტასოსთან, რომ გამოერთობა ბავში... ბავშმა კიდევ გაუღიმა, მაგრამ როცა ვამებმა ხელის მოკიდება დაუპირა, თავი დე-

დის მკერდისკენ მიიბრუნა და ჩაეკრა გულში.

— შეგარტყინა დემრთმა! თუ არ მომეკარები, რად მინდებხარ?—სთქვა ვითომ გულ-მოსუსლმა ეამეხმა და დაჯდა ტახტზე.

— და ექნა, ცემო ბაბუა?.. დედასთან მიცენ-ნია, ენა მოჩლიქით უთხრა ტასომ ბავშვის მაგივრად ეამეხს რე თვითონაც დაჯდა ტახტზე. ეამეხმა ისე აბოლა ჩიბუხი, ტასო კი ბავშს ათამაშებდა: ხან მალღა შეხატუნებდა, ხან ძირის სვამდა და დადგომას ასწავლიდა; ხან გულში იკარვდა და ჰკოცნიდა; ხან უღიტიწებდა, ბავშვსაც აცინებდა და თვითონაც იცინოდა.

— ასე არა სჯობია, შეილო, რომ იძახოდი, არ გაუთხოვდები, არ გაუთხოვდებო?—უთხრა ეამეხმა ტასოს;—ქალი იმიტომ არის გაჩენილი, რომ გაუთხოვდეს და ნიკოსთან არსება გააჩინოს (ბავშს ნიკო ერქვა). უშვილო ქალს შნო არა აქვს!..

ტასომ ნიკოს ხსენებაზე უცებ ამოიოხრა და სახეზედაც რალაც შეემა ღრუბელმა ვადაურზინა. ეამეხს კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ შეამჩნია ტასოს შეწუხება და აღარასთერი უთქვამს.

— ბაბა, ბაბა!.. დაიძახა ამ დროს ბავშვი; გაიხედა კიბისკენ, რომელზედაც შემოვიდა კოსტა და გაიწია მისკენ. კოსტა მაშინვე მივიდა ტასოსთან და გამოართვა ბავში. ბავშმა ცალი ხელი კისერზე შემოხვია მამას და ცალით წვერების წიწკნა დაუწყო. კოსტამ ჩაიკრა ბავში გულში და რამოდენიმეჯერ ისე აკოცა, თითქოს შექცა უნდოდა.

— ჩემთან კი არ მოვა არას დროს ეგ ზურცხვერილი, სთქვა ეამეხმა, რომელსაც, ეტყობოდა, ეხარბებოდა, რომ ბავში ასე სიამოვნებით იყო კოსტასთან.

ტასო, მოწყენილი იჯდა და მისჩერებოდა მამაშვილს. რა სწყენოდა ამ ახალგაზდა ზედნიერ დედამ იქნება გული სწყდებოდა, ეამეხის არ იყოს, რომ მისმა შვილმა სხვა არჩია მას? ან იქნება სულ სხვანაირი გაიტაცეს ახლა იგი ფიქრებმა და მოავრწყინა ანგელოზი ნიკო, რომელიც უდროოდ გამოესალმეწუთის-სოფელს და რომლის სახელსაც მის სახსოვრად ატარებდა მისი პატარა შვილი?..

დასუ მკერდო

კ რ ი ტ ი კ ა

ქართველი გლეხის შვილი

(„ბუნელი“—მოთხრობა ნ. მელანაისა, 1891 წ.)

III



ოგორც მოთხრობის შინაარსიდან სჩანს, „ბუნელის“ ავტორის თავის ნაწარმოების საგნად აუღია ქართველი გლეხ-კაცის ცხოვრება და იგი დაუხატავს, დაუსურათებია.

ბარემ აქვე მოვახსენებთ, რომ ამ საგანს უკვე თავისი ისტორიაც აქვს ქართულსა და რუსულს ლიტერატურაში. რუსეთის ლიტერატურის კურადღება ყირიმის ომის გათავებისათანავე მიიპყრო შინა ყმების უნუგეშო მდგომარეობამ... პარიკის ტრაკატამა, ერთის მხრით, და კაპიტალისტური წარმოების აღმოჩინებასა და გაძლიერებისათვის სურვილმა მეორე მხრით, აიძულა მთავრობა ყმები განეთავისუფლებინა, ლიტერატურა უმდარებით, უფრო თავისუფლად, ცნობიერად შეუდგა ნაშინაყვეთა ცხოვრების შესწავლასა და გამოხატვას. ნიჭიერი ზღელტურისტების გრძნობა-გონება სულ ერთიანად მიიზიდა ამ ფრიად დიდ-მწიგნულოვანმა საგანმა და ლიტერატურაში უპირატესი ადგილი მან დაიჭირა.

რუსეთის ლიტერატურის ასეთი მიმართულება და მოძრაობა სრულიად ახალი საქმე იყო, რომე-

ლიც თხოულობდა დიდი ნიჭიერებითა და კოდით სამსახურს, მუშაობას. მართლაც, მწერალთა შემოქმედლობის ძალის, მათი ნიჭისა და გონების დაქვრების სიღრმისა დასაუფებლად, რუსეთის კრიტიკა და, განსაკუთრებით, კრიტიკა სახელოვანის დღს-როლიუბოვისა, მხოლოდ იმითი ხელ-მძღვენელობადა, თუ როგორის სისწორითა და ნამდვილი ხელი-ენებით იყო გამოხატული ხალხის ცხოვრების ყოველ-დიღური და მრავალ-გვარი მოვლინებანი დეითარებანი. მშრომელი ხალხისა და იმისი ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა—აი, პირველი და უკანასკნელი საფიქრებელი საგანი, რომელიც მანად წინ დაიყენა რუსეთის ლიტერატურამ და ინტელიგენციამ, რომელსაც გულწრფელად ჰსურდა ქვეყნის სამსახური, საზოგადო იდეალების შემუშავება და ამ იდეალების განხორციელება ცხოვრებაში.

უნდა ესთქვა, რომ ამ საგნის შესახებ რუსეთში, უმდარებით ბევრი დაიწერა და მრავალი საუბრაღლებო მასალაც მოგროვდა. მაგრამ... საქმე არის, რომ იქ ჯერ კიდევ ეერ დამდგარან ერთს რომ იმე გამოაკვეთულსა და გადაწყვეტილს აზრსა და მართულებახე. რასაკვირველია, აზრთა სხვადასხვაობა, საგნის მრავალ-გვარად განხილვა სასარგებლოთით საქმისათვის იქ, სადაც ინტელიგენცია თვით მსჯელობისა და თვით-მოქმედების ნიჭს იჩენს.

რა ჰქნას და რა იფიქროს ქვეყნის გულ-შემატკივარმა მოღვაწემ მაშინ, როდესაც ერთი დიდი ნიქის პატრონი, მიუღლომლოდ ცხოვრების დამკვირვებელი, ბელეტრისტი საშინელის გულის ტკივილთა და მწუხარებების მოგვიტხოვბს, გვიხატავს ხალხის უნუგეშო მდგომარეობას, იმის სულ უკან-და უკან მიმავალს ცხოვრებას. ამავე დროს, მეორე დიდი ნიქისა და პირველსავეთვე სინიდისიერად დამკვირვებელი იმავე რუსეთის გლეხთა ცხოვრებას გვიხატავს სამიველი ნიშნებით, იძლევა ხალხის აზრის გამოფხიზლებიასა და გავართობის სურათებს, გვითხრობს იმის სულისა და გრძნობათა სიმართლესა, შეუღობასა და არსების მტკიცე თვისებათა მიმზიდველობაზე. აქ შეუძლებელია კაცი არ შედგეს და ღრმად არ დაფიქრდეს. როგორ? მდენი შრომა და საქმე გასწია ლიტერატურაში და ინტელიგენციამ, მრავალის, სხვა-და-სხვა მხრივაც მოუარეს ამ საქირბოროტო საგანს, რომ რუსის გლეხის ნამდვილი ჰემარტიკი სახე დაენახათ, და მაინც კიდევ ყოველივე გამოურკვეველია და ბნელი!..

ამ საგნის შესახებ რუსეთში მთელი განსაკუთრებული, ერთი მეორის წინააღმდეგი და ურთიერთ შორის მოუხრიგებელი სკოლებია. რუსის მეცნიერთა და ლიტერატორთა, ერთიმეორის წინააღმდეგი აზრისა და მიმართულების ჟურნალ-გაზეთებია დაარსებული. აი, სწორედ ამ გარემოებამ დაბადა აზრის დიდდ გამოურკვეველი მდგომარეობა და საქმის მძიმე და მწარე ყოფაც...

თუმცა იქ, რუსეთში, ამ მეტად რთულსა და საყურადღებო საგნის შესწავლას სინიდისიერად, ღირსეულად შეუდგენ და ბევრიც დასწერეს, მაგრამ რუსეთის ინტელიგენციისა და ლიტერატურისათვის ხალხი, ეს უცხო ენაზე, ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოკლულია („Таинственный незнакомец“), როგორის სახელ-წოდებითაც პირველად ბაზაროვმა მონათლა იგი. ეს „საიდუმლოებით მოკლული“ რუსის გლეხ-კაცობა ისეთი უცნობია, რომლის მოსახამშიაც დამალული ჰგონიათ ინტელიგენციის იდეალების მტერიც და მოყვარეც. რუსებს ამ გარემოებითაც შეუძლიათ თავი ინუგეშონ. ხოლო, ჩვენის ფიქრით კი, რუსის „მოუციკის“ მოსახამში დიფარული უნდა იყოს დღეს ინტელიგენციის უფრო მტერი, ვიდრე მოყვარე.

რუსულს ლიტერატურას, როგორც სხვა ყოველგვარ საქმეშიაც, აქაც აყვავ ქართული ლიტერატურა.

რა. ახალი ხანა ჩვენი ლიტერატურისა დაიწყო მაშინ, როდესაც მწერალთა ყურადღება მიიქცია მშრომელი სოფლის ხალხის, გლეხ-კაცის უნუგეშო და დასუსტებულმა ცხოვრებამ. გლეხის მდგომარეობა, იმის განწყობილება და დამოკიდებულება ნაბატონართან ჩვენი პოეტებისა და მწერალთათვისაც საყურადღებო საგანი შეიქნა. ეს ახალი და ცოცხალი ელემენტი თავის შინაარსითა და მოტივებით ქართულს მწერლობას უფუართობდა, უგანერებდა თავის საიმელო მდინარეობას, ვითარებას და ქართულს ლიტერატურას ეძლეოდა შესაფერი ფასი და საგრძნობელი ღრისებაც.

მაგრამ გავიდა დრო, და ეს საყურადღებო საგანიც დროებით მიტოვებულ იქნა, რადგანაც ჩვენს ლიტერატურას მიეცა სხვა გვარი მიმართულება. ხოლო, რაც უნდა ყოფილიყო, რაც უნდა გულაყრუებით და ზურგ-შექცევით ეზრა ლიტერატურას, მაინც და მაინც ჩვენი ერის გადამეტებულთა მწარე ყოფა და გარემოება, რომელიც ლოლიკურად მოჰყვა ახალს, უფ-ადგმულს ვითარებას, უშეველად, ძალა-უნებურად იმოქმედებდა ჩვენზე, შესძრავდა ჩვენს გრძნობა-გონებას, სამოქმედოდ გამოიწვევდა ნიქსა და სრულიად მისუქულს თვალს ნახევრად მაინც გაგვახლებინებდა. და სწორედ, ამის და გვარად, ათასში ერთხელ, ხოლად, გამოტყვევებოდა სადმე რომელიმე ჟურნალში, ანუ ვაზეთში პაწია მოთხრობა, სადაც ატორია გვიხალად, უსიკოცხლოდ, სუსტად და გაუბედვად ეჭიანბნებოდა რომელიმე საწყალობელის ტეტის უნუგეშო მდგომარეობას, თვალზე მომდგარის ცრემლებითა და სანტიმენტალურის გრძნობით ავიწერდა მისს სახლ-კარს ჭ გარემოებას, იმის დარდასა და წვალებას და ბოლოს, რაიმე მოულოდნელის შემთხვევის გამო, უბედურს უდროოდ წააბანებდა იქ, სადაც მართლნი ვანიცენებენ.

ჩვენმა ლიტერატურამ ახალს საქმეს მოჰკიდა ხელი და ის კი არ იფიქრა, თუ ამ საქმეს რაოდენი ფიქრი, დაკვირვება და შესწავლა უნდადა. ამიტომაც, იგი დალატობდა ჰემარტიკებასა და სინამდვილეს, ევრც ახერხებდა ხალხის სულის ვითარების, იმის ცხოვრების გაუზიადებლად გამოხატვას ისე, როგორც ეს შეშენის ხოლმე მოწიფულსა და აზრთან მწერლობას ყოველგვან და ყოველს საქმეში. გარდა მაგას, თვით მოთხრობებში გამოყვანილ პირთა, კერძო კაცთა თავ-გადასავალი, ავი და კარგი ამბავი და ისტორია, რომლის გადმოცემა და ლოლიკური მდინარეობა უნდა ყოფილიყო თვით ამავე ხალხის ყოველ დღიურ ცხოვრების პირობებთან შეწონილ-შეთანხმებული და ზოგადდ დამსურათებელი ამავე ცხოვრებისა, ევრ იყო ხელოვნუ-

რად აღწერილი და ნაწერებს ეტყობოდა სრული უსუსურობა, აეტოროთა კუუ-ვონებისა და ნიკის დაუმწიფებლობა.

რა იყო ამის მიზეზი? შემცდარი იქნებოდა ის, ეინც ამ გავრემოების მიზეზად ჩასთელიდა ქართველ ბელეტრისტთა უნიკობას. ჩემის აზრით, სხვა გარე-შე მიზეზის გარდა, უფრო ქართველური უზრუნველობა, ხანგრძლივად ფიქრისა, დაკვირვებისა და შრომის გაუწველად საქმის ხელის მოკიდება იყო მიზეზი, რომ ამ საყურადღებო საგანს რუსთა მწერლობის მართო მშრალი მიაძეით გაპყენ ჩენი მწერალნი და არა თავისი საკუთარის, ნამდვილის ქართველურის გრძნობა-განებთა, თეო-მყობი და მოწი-

ფულის ჭკუის დაკვირვებითა. მართალია, ამ ჩენი დროის ქართველ კაცს, რომელიც დახლოებებით ვერც კი იცნობს არა თუ შორიეულს უცხო ერსა, არამედ რუსულს ლიტერატურასაც, ზოგიერთი იმ დროის ქართველ ბელეტრისტთა ნაშრომი წმინდა ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნია. მაგრამ ჩენ ეგრ დაფარავთ და ეიტყვით, რომ ნამდვილად იმათი ნაწარმოებები, არა მართო ბელეტრისტული, ლექსნიც კი მხოლოდ მკრთალი და ცარიელი მიბაძეა იყო რუსეთის მწერლებისა...

ხოლო

(შემდეგი ქნება)

საყურადღებო ამბები

ჩენ შეიტყეთ რომ ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე თავს ანებებს ამ სკოლას და დანიშნულია ელადიკაქავის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორათ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩვეულებისამებრ წყევულსაც მართავს აპრილის გასულს ლატარეი-ალღერას და იმედა ჩენი საზოგადოება თანაგრძნობას არ მოაკლებს.

ჩენ მივიღეთ კიევიდან შემდეგი წერილი: „ენება მომეკით თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით ჩემი უფულითადესი მადლობა გამოუტყვადო ქ-ნს მაკრინე ჩიკვაიძისას ჩემს სასარგებლოდ 61 მანეთის შეგაროებისათვის და ყველა მათ, ვინც თავისი წვლილი არ დიშურა ჩემთვის. ქ-ნი მაკრინე ჩიკვაიძის მიერ გამოგზავნილი 61 მან. შე უკვე მივიღე.“

კევეს ენეკრისტიტე-ს სტუდენტი პროკოპი ჩხეველი

ამ ცოტა ხანში ჩხუბი მოუვიდათ გიორგი სხირტლადეს და ესტატე ჩხარტიშვილს, რომელიც საყურადღებო სკველ-მოკმედო მორიგებით ვათავდა. დაჭრის ეს ჩხარტიშვილს მორიგების პირობით დაუდგია, რომ გ. სხირტლადემ გადახადოს 15 თუმანი საქველ-მოკმედო საქმისთვის. ეს ფული შეტანილია „იერიის“ რედაქციაში და გ. ჩხარტიშვილს ასე გაუნაწილებია: 50 მ. რუსთველის ძეგლისთვის, 40 მ. სალიტერატურო ფონდისთვის, 40 მ. წინამძღვრანთ კარის სკოლისთვის და 20 მ. გურის სკოლის ბიბლიოთეკებს. სახელობარ: ასკანისა და აკეთისა.

რედაქტორ გამომცემელი ან. თ.-ქუთათისა.

განხილვა

დამზღვევის საზოგადოება

ი ა კ რ ი (დუს)

უხლექსად დამტკიცებულ 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქარების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით მიღნარით და ხმელეთით წასად-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებაში, რომელიც დადგენილია კეკელიძის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალაუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის აღექსანდრე პეტრეს ძის ზარიევისაგან, რომელიც დგას ელიამინოვის ქუჩაზე № 2.

წერა-კითხვის გამავრცელებელ სამოგადოების მალაზიაში და სხვაგანაყ.

ი ს ე ი ე ბ ა

ქართული ანბანი

გ უ ბ ი ბ ე ბ ზ ე ე

გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული

ფსია კრია მსხეთი